

## მონაწილეობითი დემოკრატიის მხარდაჭერა ალჟირში

2022 წლის 3-დან 7 ოქტომბრამდე, ანტონელა ვალმორბიდა, ALDA-ს გენერალური მდივანი, იმყოფებოდა ტლემჩენში, ალჟირში, რათა ჩაეტარებინა ტრენინგი ადგილობრივი ხელისუფლებისთვის შესაძლებლობების განვითარების, კარგი მმართველობისა და მოქალაქეთა ჩართულობის საკითხებზე.

წარსულის წარმატებული გამოცდილების გათვალისწინებით, ქალბატონი ვალმორბიდა დაბრუნდა ქვეყანაში მაღალი დონის ტრენინგების ჩასატარებლად მონაწილეობითი დემოკრატიის შესახებ. აღნიშნული აქტივობა იყო მონაწილეობითი დემოკრატიისა და სოციალური ანგარიშვალდებულების მხარდაჭერის პროგრამის ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ 2017 წელს დაიწყო.

პროგრამა აფასებს მოქალაქეთა ჩართულობის მნიშვნელობას სტრატეგიული განვითარებისა და პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებულ პოლიტიკაში.

---

### ALDA ბრუნდება ალჟირში ადგილობრივი ხელისუფლების მონაწილეობითი დემოკრატიის შესაძლებლობების განვითარების მესამე რაუნდისთვის

---

ქალბატონი ვალმორბიდა, რომელიც არჩეული გახლდათ მსოფლიოში კონსულტაციების გაცემის კუთხით წამყვანი კომპანიის [SOFRECO -ს](#) მიერ, ალჟირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მანდატით და ევროკომისიის მხარდაჭერით, ორ სხვა ექსპერტთან, ბატონ მოჰამედ საკრისა და ბატონ მუფიდა ოუსელასთან ერთად, ხელმძღვანელობდა რაიონის (Daira) ადმინისტრაციული განყოფილების 45 წარმომადგენლის დატრენინგებას. 2022 წლამდე გათვალისწინებულია რაიონის 270 წარმომადგენლის გადამზადება.

აქტივობების ეს მესამე რაუნდი აძლიერებს თანამშრომლობას ქვეყანასა და ასოციაციას შორის, რაც მოწმობს ALDA-ს, როგორც სანდო და განსაკუთრებული პარტნიორის როლს არა მხოლოდ ევროპაში, არამედ ხმელთაშუა ზღვის ზონაში.

ALDA-მ დაასრულა ეს ნაყოფიერი და ინტენსიური კვირა იმ იმედით, რომ მომავალში კიდევ უფრო გაამყაროს ეს პარტნიორობა და გააგრძელოს დემოკრატიის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე და მდგრადი თემების შექმნა მთელ მსოფლიოში.